საქართველო

№ 15 ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 23 სექტემბერი 1942 წ.

ჩვენი მოვალეობა

15 თვის წინად, როდესაც მოსკოვმა გერმანიას წარუდგინა ურცხვი მოთხოვნილება ევროპის დაყოფისა დიდ ერებად და სახელმწიფოებად, ბოლშევიკების განზრახვანი ყველასათვის ნათელი შეიქმნა. ბოლშევიკებს ასეთი გულუბრყვილო, უბადრუკი საბაბით უნდოდათ ხელთ ეგდოთ სამხედრო ბაზები, რათა ახლო მომავალში გაეჩაღებინათ წითელი ხანძარი. მათ დაიწყეს შეიარაღების გასაოცარი ზრდა, დიდძალი სამხედრო ძალასა და არმიას მოუყარეს თავი დასავლეთ საზღვარზე, ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, ვიდრე ომი დაიწყებოდა.

ლეგიონერებს, რომლებიც ვმონაწილეობდით ან და საშუალება გვქონდა დაგვენახა ყოველივე ეს, არ გვესმოდა ამ მოქმედებათა, არსი, მოვლენათა ვითარება. მრავალი ჩვენთაგანი, როგორც კადრის წითელარმიელები, ვიდექით დასავლეთის საზღვარზე. საბჭოთა პროპაგანდა, დასჯის მუქარა ხუთავდა ჩვენს თავისუფალ აზრს; წლობით უნდა გვესმინა მოხსენებანი „ფაშისტურ სახელმწიფოთა ზრახვებზე", „ევროპის ახალგაზრდა ნაციონალურ სახელმწიფოებზე„ როგორც ამას უწოდებდნენ გაიძვერა ბოლშევიკები.

მართალია, ჩვენ უნდობლად ვეკიდებოდით ბოლშევიკებისსიტყვებს,რაც გვასწავლა წლების მწარე გამოცდილებამ, მაგრამ ჩვენ გვაკლდა მოვლენათა ახსნის სწორი გაგება. ნაციონალური ინსტინქტი გვიკარნახებდა, რომ მზადდებოდა პირობები, რომელსაც ისეთივე ხვედრი უნდა მოეტანა სხვა ერთათვის, რაც განიცადა ჩვენმა პატარა ერმა 20 წლის წინად.

ჩვენმა სამშობლომ, ქართველმა ერმა, თვითონ საკუთრივ განვიცადეთ ბოლშევიკების ბატონობის ჯოჯოხეთური პირობები. 1921 წელს გაანადგურეს ბოლშევიკებმა ჩვენი ნაციონალური დამოუკიდებლობა, ჩაჰკლეს ქართული სული. ევროპასა დ მის ხალხებს უნდა განეცადათ ისეთივე კოშმარული საშინელება, განადგურება, როგორც ჩვენ განვიცადეთ. ბოლშევიკებმა შეეცადეს გამოვეყენებინეთ იარაღად მოსკოვის დამმონებელთა იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად.

ომის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ გერმანიის ტერიტორიაზე ჩვენმა ინსტიქტიურმა წინათგრძნობამ ჰპოვა ნათელი დადასტურება. ჩვენი გადაწყვეტილება იყო სწრაფი, არაორაზროვანი; ჩვენი ადგილი უნდა ყოფილიყო იმ ხალხთან, რომლებიც იბრძვიან და იცავენ თავს ბლშევიკებისაგან. თვითეულმა ჩვენგანმა გაიგო, რომ დადგა დრო ბოლოს და ბოლოს გადაწყდეს ჩვენი ნაციონალური პრობლემა. მხოლოდ გერმანიისა და მისი მოკავშირეების გამარჯვება, წითლების ბატონობის დამხობა, ახალ ევროპასთან ერთად განახორციელებს ჩვნს ოცნებას: მივაღწიოთ თავისუფლებას და საშუალებას საკუთარი ნაციონალური ცხოვრებისას. ჩვენ არ გვქონდა სხვა მისწრაფება ვიდრე თვით მიგვეღო მონაწილეობა ამ გიგანტურსა და ისტორიაში შეუდარებელს ბრძოლაში.

ჩვენ გვსურს ვიყოთ ღირსნი ამ უდიდესი მომენტისა, ღირსნი ჩვენი წინაპართა სისხლისა, რომელიც ორი ათსი წლის განმავლობაში დააქციეს მათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. რომ ამ სისხლს ამაოდ არ ჩაევლო, ჩვენ მოწოდებულნი ვიყავით აგვეღო ხელში იარაღი. ქართული ლეგიონის დაარსებამ მოგვცა ამის შესაძლებლობა. ჩვენ არაოდეს დავივიწყებთ გერმანიისა და მისი ბელადის ამაგს.

ადოლფ ჰიტლერი ამბობს: „ადამიანს მზა-მზარეულად არაფერი ეძლევა, ყველაფერი ის, რაც საჭიროა, მან გაჭირვებითა და შრომით უნდა მოიპოვოს„ ეს ყველაზე უფრო შეეხება ერის ცხოვრებას. ჩვენ არ გვსურს ომის შემდეგ ვიზეიმოთ ნაკუფრალაზე, არამედ ვიბრძოლოთ შესაძლებლობისამებრ,რომ გერმანიისა და მისი მოკავშირეთა გამარჯვების დღეს შეგვეძლოს თქმა დამშვიდებით: ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოსადმი, წინაპართადმი და ხალხის მომავლისადმი.

გმირული ბრძოლები სტალინგრადისათვის.

ბრძოლა სტალინგრადის ქუჩებში

გერმანიის ფეხოსანი ჯარი სტალინგრადშია. მთელს ქალაქში მიმდინარეობს ქუჩაზე ბრძოლები. ბოლშევიკების ყველა ცდა გაარღვიონ გერმანელების რკალი, რომლითაც გარშემორტყმულია ქალაქი, ამაო აღმოჩნდა. თვითეული სახლი წარმოადგენს სიმაგრეს, გარემოცულს ბარიკადებით. მთელი კვარტალები გადაქცეულნი არიან უძლიერეს სიმაგრეებად. იარაღის ყველა სახე, მძიმე არტილერია, მსუბუქი ქვემეხები მონაწილეობენ ქუჩაზე ბრძოლებში. გერმანიის ფეხოსანი ჯარი და მესანგრეთა რაზმები ანადგურებენ სიმაგრეებს და იჭრებიან ქალაქის სიღრმეში.

გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქის გამაგრებულ ადგილებს, ცენტრს. ავიო-გამანადგურებლები განუწყვეტლივ ესხმიან თავს საბჭოთა რაზმებს სტალინგრადის აღმოსავლეთით. გერმანიის თვითმფრინავებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ასტრახანზე. თავდასხმის შედეგად ჩაძირული და განადგურებული იქნა 5 სამხედრო სატრანსპორტო გემი და ავტოეშელონები ჯარისკაცებით.

გამარჯვება ატლანტიის ოკეანეში

გერმანიის ჯარის უმაღლესი სარდლობის ცნობით, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს ატლანტიის ოკეანეში. წმინდა ლავრენტის უბეში კანადის სანაპიროებთან, ატლანტიის ოკეანეში და აფრიკასთან ჩაძირული იქნა მტრის 18 გემი, 121.500 ტონის წყალწყვით. გერმანიის წყალქვეშა ნავები აგრეთვე თავს დაესხნენ ინგლისის გემთა ქარავანს, რომელთაც ძლიერად იცავდნენ სამხედრო გემები; ატლანტიის ოკეანის ჩრდილო ნაწილში უდიდესი საზღვაო ბრძოლა იყო გაჩაღებული.

ორი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ახალგაზრდა გერმანელმა წყალქვეშელებმა გაანადგურეს მტრის გემთა ქარავანი, 19 სატრანსპორტო გემი (122 000 ტონა), 2 საესკადრო ნაღმოსანი და 1 ნავმზიდი ჩაძირულია. მინებისაგან ძლიერ დაზიანდა 6 ხომალდი. მტრის ვერც ერთმა გემმა ვერ გადირჩინა თავი. ამგვარად ორი დღის განმავლობაში ჩაძირულ იქმნა 37 სავაჭრო და 3 სამხედრო გემი. ამათ უნდა დაემატოს კიდევ 7 დაზიანებული გემი, რომელთა ჩაძირვის ცნობა მძაფრი ბრძოლების გამო ვერ მოხერხდა გადმოცემულიყო.

გერმანიის წყალქვეშა ნავებმა, ახალგაზრდა წყალქვეშელებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი თავდადება, ბრძოლის მაღლი უნარი და უძლეველობა.

ინგლისელთა მორიგი ავანტურა ტობრუკში

14 სექტემბერს ღამით ინგლისელები შეეცადნენ გადმოესხათ დესანტი ტობრუკში. ცდას წინ უძღოდა თვითმფრინავთა თავდასხმა. ფვითმფრინავებმა პარაშუტისტები გადმოსხეს ორ ადგილს: მარზა ელ აუდასა და მარზა უმმლელსკიაუშის უბეებთან. ოპერაციებში მონაწილეობდნენ ბრიტანეთის კრეისერები და ნაღმოსნები.

გერმანია - იტალიის საზღვაო და საჰაერო ძალებმა სანაპირო და საზენიტო ბატარეებმა, აგრეთვე ქალაქ ტობრუკის გარნიზონის ჯარებმა მცირე შრომის შედეგად, ადვილად მოსპეს ინგლისელთა მორიგი ავანტურა. ბრიტანეთის ორ გემს გაუჩნდა ხანძარი. ერთი მათგანი ზღვაში ჩაიძირა. გერმანიის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი, 4 თვითმფრინავი განადგურებული იქნა ტობრუკის სანაპირო ბატარეიათა მიერ.

ბალტიის ზღვაში ჩაძირულია 26 საბჭოთა წყალქვეშა ნავი

ფინეთის შეიარაღებული ძალების სარდლობის ცნობით ზაფხულის თვეების განმავლობაში ბოლშევიკები წყალქვეშა ნავების საშუალებით ცდილობდნენ გაერღვიათ რკალი ფინეთის ყურეში. მძაფრ საზღვაო ბრძოლებში გერმანიისა და ფინეთის საზღვაო ძალების მიერ ჩაძირულმა ბოლშევიკების წყალქვეშა ნავების რიცხვმა მიაღწია 26-ს. საზღვაო ბრძოლებში მტრის წინააღმდეგ ძლიერად მოქმედებდა გერმანიის ავიაცია.

სასურსათო კრიზისი ირანში

თეირანიდან იტყობინებიან, რომ ირანის მთავრობა იძულებული გახდა სიკვდილით დასჯით დამუქრებოდა ხორბლეულით მოვაჭრეებს. ირანის მინისტრ - პრეზიდენტმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას შეეცადა დაეწყნრებინა მოსახლეობა, მაგრამ მან სცნო, რომ სასურსათო კრიზისი მეტად სერიოზულია და მდგომარეობა დღითი დღე რთულდება.

ირანის მთავრობამ დანიშნა სასურსათო საქმის კომისარი საგანგებო რწმუნებით. ეს გამოწვეულია ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფალთა დაჟინებითი მოთხოვნით, რომლებიც ავალებენ მთვრობას დააჩქაროს და გაადიდოს პურის გადასახადი. სოფლის მეურნეთა მტკიცე უარის გამო ირანის მთავრობამ გამოსცა კანონი პურის მოსავლის კონფისკაციის შესახებ იმ მეურნეთა მიმართ, რომლებიც უარს ამბობენ ხორბლეულის გადასახადზე.

ინგლისელთა მოთხოვნით ირანის მთავრობამ დახურა ტრანს - ირანული რკინისგზა ტვირთთა და მგზავრთათვის. უკანასკნელად ამ რკინის გზაზე სამგზავრო მატარებლები მოძრაობდნენ კვირაში ერთხელ. ამჟამად მოძრაობა შეწყვეტილია.

ინგლისელნი გამოტყდნენ...

ამას წინად პარლამენტის სხდომაზე ჩერჩილი და მინისტრი ეიმერი თავიანთი სიტყვებით სცდილობდნენ მოეხდინათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ინდოეთში საყურადღებო მაინცა და მაინც არაფერი ხდება. ახლა ინგლისის გაზეთებში თანდათან ჩნდება ცნობები იმ ამბების შესახებ, რომელიც ინდოეთში მიმდინარეობს. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ სავსებით ეწინააღმდეგება ხელისუფლების ოფიციალურ ცნობებს ინდოეთზე.

„უკანასკნელ დღეებში ლონდონში მიღებულ ცნობათა მიხედვით, — სწერს „დეილი ტელეგრაფი“, — არეულობა ინდოეთში, რომლის შედეგადაც მოხდა ინდოელთა ნაციონალურ - გამანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადთა დაპატიმრება, გაცილებით სერიოზული ამბავია, ვიდრე ეს ჩვენ გვეგონა. ზოგიერთ ოლქებში საბოტაჟს კარგად მოფიქრებული, ორგანზებული ხასიათი ჰქონდა რკინიგზებზე, ფოსტაში და სხვა“.

სტატიის ბოლოში გაზეთი მოითხოვს ტერორის გაძლიერებას და გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღებას ინდოელთა მოძრაობის ჩახშობის მიზნით. ასეთია გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ აზრი. საგარეო საქმეთა სამინისტრო აშკარად აცხადებს, რომ ჩერჩილი პარლამენტის სხდომაზე სტყუოდა, როდესაც განაცხადა: „ინდოეთში ისეთი არაფერი ხდება, რომ ყურადღების ღირსი იყოსო“.

განდის ძმის დაპატიმრება

ალახაბადში შეიარაღებულმა პოლიციამ განდევნა ბრბო, რომელიც ცდილობდა მოეწყო მიტინგი. ინდირა განდს იავახარილ ნერუს ქალიშვილს და მის ქმარს ფრენზე განდს სურდათ გამოსულიყვნენ პოლიციის მიერ დაპატიმრებული ხალხის ბრბოს წინაშე. მათთან ერთად პოლიციამ დააპატიმრა 12 კაცი. ქალაქის მცხოვრებლებს ხელისუფლების ბრძანების თანახმად ეკრძალებათ ქუჩაში გამოსვლა საღამოს 7 საათისა და 30 წუთიდან დილის 6 საათამდე.

კუნძულ კიპრზე

ანკარიდან იტყობინებიან მრავალრიცხოვან დემონსტრაციების შესახებ კუნძულ კიპრზე, რომლებიც გამოწვეულნი არიან საკვები პროდუქტების სიმცირით. მოსახლეობა პროდუქტების სიმცირეს ხსნის იმით, რომ კუნძულზე მყოფი ინგლის-ამერიკის გარნიზონები იმყოფებიან მოსახლეობის ხარჯზე. კიპრის ზოგიერთ ქალაქებში ფანგუსტედში და ლარნაკში პოლიცია იძულებული შეიქნა გაედევნა ხალხის გროვა და ეწარმოებინა დაპატიმრებანი. უწესრიგობა გრძელდებოდა მეორე დღესაც.

სტალინი: ილოცეთ, ილოცეთ სამშობლოსათვის!
ტიმოშენკო: წმინდაო კუტუზოვ, გვიხსენ განსაცდელისაგან.

„მიუვალი“ სტალინგრადი დაცემის წინ

სტალინგრადისათვის მძაფრი ბრძოლები გრძელდება. ახლოვდება საათი ბოლშევიზმის ამ უკანასკნელი ციხე - სიმაგრის დაცემისა. ბოლშევიკები კარგად გრძნობენ მოახლოებულ აღსასრულს. შიში, დაბნეულობა, უიმედობა, რომლითაც მოცულია „დიდი“ სტალინი და საბჭოთა არმიის მესვეურობა ნათლად მოსჩანს მათ საქმიანობაში, ბრძანებებში. გადამწყვეტ დღეებში წითელი სარდლობა მოუწოდებს საბჭოთა ჯარისკაცებს, რომ მთელი დაძაბულობით იბრძოლონ მათ სტალინგრადისათვის. გაზეთები „პრავდა“, „კრასნაია ზვეზდა“ სწერენ, რომ მეტი უკან დასახევი გზა წითელ-არმიას არ გააჩნია.

ბრძოლა მიმდინარეობს მთელი სისასტიკით, იქცევა ათასობით ადამიანის სისხლი თვითეულ გოჯი მიწისათვის. გერმანელთა იერიში სულ უფრო და უფრო გამანადგურებელი ხდება. გერმანელები არღვევენ სტალინგრადის სიმაგრეებს სიმაგრეებზე, სატანკო ნაწილები და მესანგრეები იპყრობენ ქალაქის ძლიერ სიმაგრეებს მიუხედავად იმისა, რომ წითლები განუწყვეტლივ აწარმოებენ კონტრ-იერიშს. გმირული ბრძოლით გერმანიის ჯარმა მიაღწია ვოლგას როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთის მიმართულებით. ბოლშევიკებმა მდგომარეობის შესამსუბუქებლად სცადეს იერიშის მიტანა გერმანელთა ჩრდილო პოზიციაზე. იერიში სწარმოებდა მსხვილისამხედრო ძალებით, აურაცხელი ტანკებით. გერმანელებმა უკუაგდეს და გაანადგურეს წითლების შემოტევა. ავიაცია ენერგიულად ეხმარებოდა გერმანიის ფეხოსან ჯარს.

გაზეთი „პრავდა“ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ახლა ამაოა „მეორე ფრონტზე“ დაყრდნობის იმედი, ასეთი უკვე აღარ არსებობს. მტერს ეძლევა საშუალება მთელი ძალები გადმოისროლოს სტალინგრადთან. „ჩვენ მოგვიხდება ვიბრძოლოთ მარტოდ“.

სტალინგრადისათვის ვოლგას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. „ჩვენთვის არ არის რა იმზე უფრო ძვირფასი, ვიდრე ვოლგა“ — სწერს „კრასნაია ზვეზდა“. მართლაც და ვოლგა არის წითლების ზურგის უმნიშვნელოვანესი არტერია; ვოლგის საშუალებით არსებობს ერთად ერთი გზა ბაქოდან ნავთი შეზიდულ იქნას ქვეყნის შიგნით. ეს გზა უკვე ესპობათ ბოლშევიკებს.

სტალინგრადი გარშემორტყმულია გერმანელთა მიერ. ბოლშევიკების „უძლეველი“ ციხე-სიმაგრე დღე-დღეზე ელის დაცემას.

ეგვიპტე - ეგვიპტელთათვის

ეგვიპტის ხალხში თანდათან იზრდება ანტი - ბრიტანული განწყობილება. ზვირთდება ნაციონალური - გამანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღა. ეგვიპტის მთავრობამ ნაჰას- ფაშას მეთაურობით გამოსცა მთელი რიგი ბრძანებებისა, რომელთა მიზანს შეადგენს დაიცვას ეგვიპტის ნაციონალური და სამეურნეო ცხოვრება უცხოელთაგან. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეგვიპტეში თავი მოიყარეს ბალკანეთის სახელმწიფოთა ემიგრანტებმა. ისინი სარგებლობენ მფარველობით და ყოველმხრივ ცდილობენ ითამაშონ გადამწყვეტი როლი ეგვიპტის მეურნეობაში. ეგვიპტის ხალხს კარგად ესმის ეს გარემოება. ამით აიხსნება ის ახალი კანონები, რომლებიც ალბად საზღვარს დაუდებენ ინგლისელთა თვითნებობას.

ნაჰას-ფაშას მიერ გამოცემულ ბრძანებათა თანახმად ახალ ემიგრანტებს ეკრძალებათ ყოველგვარი მოღვაწეობა, მათი შემდგომი ცხოვრებისათვის მთავრობა აწესებს მთელ რიგ შეზღუდვებს. თუ ისინი კვლავ განაგრძობენ მოღვაწეობას, მთვრობას აქვს უფლება განდევნოს ემიგრანტი ეგვიპტიდან ან განაწესოს საკონცენტრაციო ბანაკში.

ეგვიპტის ხელისუფლებამ აგრეთვე ბრძანა გადასინჯული იქნას დოკუმენტები მოქალაქის უფლებათა მინიჭების შესახებ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. მრავალი უცხოელი მოკლებული იქნება მოქალაქობრივ უფლებას.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ეგვიპტეში მომუშავე ყველა ფირმა ვალდებულია სავაჭრო წიგნი აწარმოოს არაბულ ენაზე, რაც, რა თქმა უნდა, ძნელია ევროპიელთათვის, მეტადრე ინგლისელთათვის, ვინაიდან ენის მცოდნე პერსონალი, მრავალი ინგლისელი მოსამსახურე დასტოვებს ფირმას, მათ ნაცვლად იქნებიან ეგვიპტელნი.

მეტად საყურადღებოა ეგვიპტის პარლამენტის კანონ - პროექტი, რომლის ძალითაც უცხოელებს ეკრძალებათ ფლობდნენ ან შეიძინონ უძრავი ქონება. ეს პირველ რიგში ეხებათ ინგლისელებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ეგვიპტეში ფლობდნენ მსხვილ მეურნეობებს. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით ეგვიპტეში იმყოფებოდა სულ 53 ლატიფუნდი (მსხვილი მიწათმფლობელი), მათგან 31 ეკუთვნით ინგლისელებს, 22 ეგვიპტელთ. მსხვილ მიწათმფლობელებად ითვლებიან ბრიტანეთის ყოფილი ელჩი და მრავალი ყოფილი უმაღლესი დიდი მოხელენი.

უახლოეს ხანებში ეგვიპტეში გატარებული იქნება ღონისძიება, რომელიც გააუქმებს მონტრეს შეთანხმებას. შესცვლის უცხოელ მოსამართლეთ შერეულ სასამართლოებში მხოლოდ და მხოლოდ ეგვიპტელებით. ყველა ღონისძიებებს მთავრობისას ეგვიპტელი ხალხი თანაგრძნობით ხვდება. მოსახლეობაში დღითი-დღე ძლიერდება ანტი-ბრიტნული განწყობილებანი.

„მწვანე - ხალათიანთა“ ორგანიზაცია ინგლისელთა ბატონობის ეს საშინელი მტერი ეგვიპტეში აქტიურად მუშაობს. მას შემდეგ რაც ამ ორგანიზაციის მეთაური ახმედ ჰუსეინი საავადმყოფოდან გაიქცა და გავიდა ხალხში, ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა უფრო და უფრო გაძლიერდა. აშკარად მოითხოვს ინგლისის გავლენის მოსპობას ეგვიპტეში.

მთავრობის ახალ კანონებს მოჰყვა ის, რომ ეგვიპტის გაზეთები სავსეა განცხადებებით. ინგლისისა და საფრანგეთის ფირმები, მიწათმფლობელნი ჰყიდიან თავიანთ ქონებას, მიწას.

ინგლისის ბატონობას ეგვიპტეში ძირი ეთხრება. ეგვიპტის ხალხმა გამოიღვიძა. ეგვიპტე — ეგვიპტელთათვის! ამ ლოზუნგით იბრძვის ხალხი. იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ დიდია ეგვიპტელი ხალხის მისწრაფება ნაციონალური თავისუფლებისათვის, საკმარისია გადავხედოთ სახალხო მოძრაობას. ზაგლულ ფაშას გარდაცვალების წლისთავზე (ვაფეტის პარტიის ფუძემდებელი) ქაირის ქუჩებში ჩატარდა მქუხარე დემონსტრაციები. ისინი მიმდინარეობდნენ ინგლისის საწინააღმდეგო განწყობილებით. მანიფესტანტები გაჰყვიროდნენ ქუჩებში: „გაუმარჯოს გენერალ რომმელს, შორს ინგლისელნი ეგვიპტიდან!“ ინგლისის ჯარისკაცებს, რომელთაც სურდათ ფოტო გადაღება ეწარმოებინათ დემონსტრანტებმა სცემეს. პოლიციამ ამ ამბებთან დაკავშირებით 200 -ზე მეტი კაცი დააპატიმრა.

ეგვიპტის მიწას სულ უფრო და უფრო უახლოვდება ყუმბარების გუგუნი, ინგლისელთა ბატონობის დღეები ეგვიპტეში დათვლილია. ამას გრძნობს ეგვიპტელი ხალხი, ეს გრძნობა ამაღლებს და ამხედრებს მათ ინგლისის წინააღმდეგ.

რამდენიმე სიტყვა...

ლეგიონერებო! თქვენ უკვე კარგად იცნობთ ჩვენს გაზეთს. ისინი, ვინც გაზეთს აკეთებენ, გამოსულნი არიან თქვენს წრიდან, თქვენთან ერთად უმსჯელიათ გაზეთის შესახებ, გამოუთქვამთ საკუთარი აზრი. გაზეთი ჩვენ გვიყვარს, გვიყვარს იმიტომ, რომ იგი ჩვენი ფიქრთა და აზრთა გამომხატველია. ის მოწოდებულია გემსახუროთ თქვენ; აქედან გასაგებია მისი თავისებურობა. ჩვენი გაზეთი არ არის ჩვეულებრივი გაზეთი, იგი სრულიად სხვაგვარია. გაცილებით ადვილი იქნებოდა აგველო მზამზარეული ცნობები, მასალები გაზეთებიდან და დაგვებეჭდა ისინი; ამისათვის საჭირო იქნებოდა მცირე შრომა. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ: ვიშრომოთ მეტი, გაზეთს მივსცეთ თქვენთვის საინტერესო სახე, შინაარსი.

ჩვენი შეხედულება—თქვენი შეხედულებაა. გაზეთი და მისი მკითხველნი ვემსახურებით უწმინდეს საქმეს,—ვიბრძოლოთ სამშობლოს განთავისუფლებისათვის, გავაღვიოთ თვითეული ჩვენგანის გულში ეროვნული აღორძინების გრძნობა, თავი დავსდოთ მამულისათვის. და არ არის იმაზე უფრო სახელო და უკეთილშობილესი რამ, ვიდრე ემსახურო ამ დიად რწმენას.

ჩვენი სიტყვა და შაშხანა ემსახურება ერთ საქმეს. დიადი ამოცანა დგას ჩვენს წინაშე ამას თვითეული ჩვენთაგანი გრძნობს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გაზეთში ჯერ კიდევ მთელი სიცხადით და სისრულით არ ჩანს ლეგიონის ცხოვრება, მუშაობაში თან გვდევს სერიოზული ნაკლი. როგორ შეგვიძლია აღმოვფხვრათ იგი? საჭიროა ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა. ჩვენ თქვენგან მოველით აღმაფრთოვანებელ აზრებს, სტრიქონებს, რომლებიც უნდა გამოხატავდნენ მთელი ლეგიონის აზრს, შემოქმედებას, ცხოვრებას, თვითეული ლეგიონერის შეხედულებას, მისწრაფებას.

ჩვენ ვგრძნობთ იმ საქმის სიდიადეს, რომელსაც ვემსახურებით. ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ, ვატარებთ თქვენსავე მუნდირს. ჩვენ ერთი საერთო მიზანი გვაქვს, — ვემსახუროთ დიად საქმეს — სამშობლოს აღორძინებას. ამ საქმის სამსახურში უნდა დავაყენოთ მთელი ჩვენი სიცოცხლე, სიტყვა და შაშხანა.

საბჭოთა დანაკარგი

31 მაისიდან 31 აგვისტომდე გერმანიის არმიამ ჩამოაგდო 3503 საბჭოთა თვითმფრინავი. კავკასიის ფრონტზე და სტალინგრადთან გერმანელებმა დაჰკარგეს 294 თვითმფრინავი. მარტო ერთ დღეს წითელმა არმიამ აღნიშნულ ფრონტზე დაჰკარგა 105 თვითმფრინავი.

დიდია ტანკების და ჯავშნოსნების დანაკარგი. რჟევთან მძაფრ ბრძოლებში 30 ივლისიდან 6 სექტემბრამდე ბოლშევიკებს გერმანელებმა გაუნადგურეს 2126 ჯავშნოსანი, ხოლო კალუგასთან — 1010 ჯავშნოსანი.

23 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე მარტო ერთმა გერმანულმა სატანკო დივიზიამ, რომელმაც გაარღვია სტალინგრადის შინა სიმაგრეები და მიადგა ვოლგას, გაანადგურა ბოლშევიკების 4?0 ტანკი, 180-ზე მეტი ქვემეხი. გერმანელებმა ხელთ იგდეს ლიკვალი სამხედრო ნადავლი, აასსკულობით ტყვე.

მძიმე მდგომარეობა

მეტად მძიმეა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ - პოლიტიკური მდგომარეობა. მოსკოვის რადიო, პრესა, მთავრობა მოუწოდებს მოსახლეობას იცხოვრონ ეკონომიურად; ნავთის დიდი ნაკლებობის გამო იხმარონ ადგილობრივი საწვავი მასალა — ტორფი. წითელ არმიას, ჯარისკაცთ, რომლებიც ფრონტზე არიან, აკლიათ ფეხსაცმელი, სამხედრო საჭურველი. კოლმეურნეობები სულ უფრო და უფრო მცირე მოსავალს აბარებენ სახელმწიფოს.

პატარა ფელეტონის მაგიერ

ერთს ბედს ქვეშ ...

ერთს ბედ ქვეშა, ჩერჩილ, — მე და შენ,
წილად გვარგუნეს დამარცხება ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ომის ჰაპანი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი.
ფრონტი ფრონტზედა გადმოვაწვინოთ
და ხალხის სისხლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამილონდი !.. შენი ტაქტიკა
ჩემს ტაქტიკაზე არ არის ბრძენი:
მეც შენებრ მტრისგან ვარ დაბომბილი,
ხომ ხედავ, მიწა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის სიკვდილი მსხვერპლსა,
ომისა შემდეგ დასავიწყელსა.
შენ კუნძულზე ხარ, მე კონტინენტზე?!
ეჰ, ჩემო ჩერჩილ, ნუ შეგშურდება,
რად გინდა ფლოტი, თუნდ იყოს ბევრი,
თუ ზღვის უფსკრულში ჩაიძირება?!
აბა რას გვარგებს რჟევთან ბრძოლანი,
როცა სტალინგრადს მტერი მოადგა?!.
რით ვიხსნათ თავი? ხომ ხედავ, ძმაო,
„მეორე ფრონტიც“ არ გამოგვადგა.
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
გენიოსობის, გულის დუღილის
გეგმანი გულში მებადებიან
და „დიეპიედ“ უცბად ჰქრებიან.
შენ ვერ გაიგებ ბელადის ტანჯვას,
როცა ბოლშევიზმს თავის გულში ჰკლავს,
აქ მენდევ, ჩერჩილ, ხიფათი ჩემი
შენს ფათერაკზე უფროა ძნელი...
მაშ, რა გალონებს?!. გახსენი ფრონტი!
გემუდარები, ნუ დამილონდი,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა, —
ის შენ აცხონე, მან შენ გაცხონოს!..

ლეგ. ლ. ა.

უშედეგო შეტევები რჟევთან

მოკლე შესვენების შემდეგ ბოლშევიკებმა დაიწყეს უშედეგო შეტევები რჟევის რაიონში. არტილერიის სამზადისისა და ძლიერი საჰაერო შენაერთების შეტევის შემდეგ, შეტევაზე გადავიდა ფეხოსანი ჯარი. ტანკებისა და ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით წითლები ცდილობდნენ გაერღვიათ გერმანელთა ფრონტის ხაზი. წითლების ყველა ცდა განადგურებული იქნა. საბჭოთა დანაკარგი მეტად დიდია. 15 სექტემბერს გერმანელთა ერთი კორპუსის რაიონში განადგურებულია 206 საბჭოთა ტანკი

გერმანიის ჯარი ისვენებს კავკასიის ერთ-ერთ სოფელთან.

წითელი ყაზარმის კედლებში

ჯოჯოხეთი იყო წითელი ყაზარმა. მის კოშმარულ კედლებში ათავებდა სიცოცხლეს საბჭოთა ახალგაზრდობა. ნესტი, ჩალამპული დერეფნები, ზამთარში საყინულედ გადაქცეული ბნელი ოთახები, ნარებზე ჩამომსხდარი ფეხშიშველი ჯარისკაცები, მბენარი... ასეთი იყო ერთის შეხედვით წითელი ყაზარმა. წითელარმიელები დადიოდნენ ლანდებივით, თვითეული მათგანის სახეზე დაღი დაეჩნია სატანურ ყოფას. ისინი ჰგავდნენ მოხუცებს, მოძრაობდნენ ზანტად, უნუგეშობა ჩანდა მათ თვალებში, შიში და უნდობლობა იპყრობდა მათ გულს.

გამცემლობა, გამყიდველობა. ყოველ სამ ჯარისკაცში ერთი საიდუმლო აგენტი. ახალ წითელარმიელთა სულის „გადამუშავება“, საგანგებო განყოფილებათა მთელი საშინელი აპარატი, მეთვალყურეობა, განწყობილებათა შესწავლა, პოლიტრუკი. შედეგი: თვითმკვლელობა, დეზერტირობა, დისციპლინარული ბატალიონი. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ ჯარისკაცი დაეტანჯა. მეცადინეობა, შინა განაწესი, ლაშქრობა, — ყველაფერი ემსახურებოდა ერთ საქმეს, — ჩაეჭედა ჯარისკაცის თავში შიში, მორჩილება პოლიტრუკისადმი.

წითელარმიელთა წერილები ნათელს ჰყოფენ იმ განწყობილებებს, რომლითაც გამსჭვალული იყო წითელ ყაზარმაში მცხოვრებთა სული და გული. ახალი წითელარმიელი, ჯარამდე აგრონომი, სწერს: „...ჩემს ცხოვრებაში სასიხარულო არაფერია. სამი თვეა ვიმყოფები წითელ არმიაში; აქ ტანჯვის მეტი ვერა ვნახე რა. ჩემ სულში მოძრაობენ ცუდი აზრები. შეპყრობილი ვარ გამოუცნობი შიშით, და მინდა ვიტირო... თვალებს ვხუჭავ, ცრემლი ყელში მებჯინება. ჯოჯოხეთური ცხოვრება მიკარნახებს სიცოცხლე შევცვალო სიკვდილით... გამოწრთვენა. მერე და რა მოაქვს მას? სიმშილი, დახეული ფეხსაცმელი... ნახევარი ასეული ფეხშიშველი ვზივართ!...“

„გუშინ გადავიღე სურათი,—სწერს დედას წითელარმიელი,—არ გიგზავნი იმიტომ, რომ ალბად გაოცდებოდი. ყაზარმაში ცხოვრებამ ოთხმოცი წლის მოხუცს დამამსგავსა: რომ დავბრუნდები ალბად მაქ, სოფელში ვერავინ მიცნობს. მინმტყორცნის მძიმე სადგამი ყოველ დღე დამაქვს 5 კილომეტრზე, წელი მომწყდა. ტანსაცმელი ძველი მოგვცეს. ზამთარში სველები ვმეცადინეობთ. ოთახებში 50 — 60 ვცხოვრობთ ერთად, სველი ფეხსახვევები და ტანსაცმელი ვერსად გამიშრია... წასულ კვირას ხუთი ამხანაგი გახდა ავად ანთებით... ალბად მეც ეს მომელის...“

ჩემმა კარგმა ამხანაგმა, რომელიც ჩვენს მეზობელ ნაწილში იდგა, ერთ საღამოს გადმომცა: „ყოველ დღე ვნატრობ სიკვდილს. პოლიტრუკმა ქვეყანაზე არსებობა შემაძულა. მთელი ღამეები არ მძინავს... გუშინ ღამით ყარაულში ვიყავი. ორჯერ გადავსწყვიტე ავტომანქანის საკეტისათვის გამომედო თითის თავი და ჩახმახისათვის გამომეკრა ფეხი... ვერ მოვახერხე. გამვლინებელის ხმამ შემაკრთო... არ ვიცი, როდის მოვახერხებ“... და მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ ღამით გაისმა თოფის ხმა... ავტო-გარაჟში, გზის პირად ეგდო მკვდარი ჯარისკაცი.

ყაზარმაში საშინელი სუნი იდგა. წითელარმიელებს თავქვე ჰქონდათ დამალული ნაყიდი პური. სასადილოს კარებთან გუნდგუნდათ იდგნენ ჯარისკაცები. აგროვებდნენ პურის ნარჩენებს, სჭამდნენ მონარჩენ წვენს. „ვცხოვრობთ ჩალამპულ ყაზარმაში. ზამთარში აქ პირდაპირ საყინულეა. ოთახებს არ ათბობენ. თვითეულ ხის საწოლზე ორ-ორ კაცს გვძინავს. კომისია ყოველ დღიურად „აღმოაჩენს“ ხოლმე მკბენარს. დიდი ყინვებია. ფეხსახვევს ერთის მეტს არ გვაძლევენ. ფეხებზე სამი თითი გამეყინა. საჭმელზე ნურას მკითხავთ... კარგი იქნებოდა ფული მქონოდა. პურს მაინც ვიყიდდი“.

წითელარმიელს არ ჰქონდა უფლება ქალაქში გასვლისა. მოსახლეობა არ თანაუგრძნობდა წითელარმიელს, „სამშობლოს“ დამცველს. ტრამვაიში ან ავტობუსში წითელარმიელისაგან შორს დგებოდნენ. ისინი ჭუჭყიანი იყვნენ, ასდიოდათ სუნი, მოკლებულნი იყვნენ ზრდილობას.

„ყველაზე უფრო დემოკრატიული ქვეყნის“ კონსტიტუციის თანახმად წითელ არმიაში სამსახური იყო ღირსების საქმე, ხალხი კი გაურბოდა მას. თითს იჭრიდნენ, თამბაქოს ნაცვლად ჩაის სწევდნენ, ფეხს იყინავდნენ, ავადდებოდნენ, ოღონდ თავი აეშორებინათ ყაზარმისათვის. და მართლაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მარშალი ტიმოშენკო ჩაუდგა სათავეში წითელ არმიას, ყაზარმა კატორღად გადაიქცა. ყოველ დღე მოდიოდა ბრძანება: აიკრძალოს შვებულება, გაიზარდოს მეცადინეობის საათი, წითელარმიელს მიეცეს ძველი ტანსაცმელი, შემოღებულ იქნეს დისციპლინარული ბატალიონი, შემცირდეს საკვების ნორმა და სხვა.

განსაკუთრებით გამწარებულნი იქნებოდნენ უმცროს მეთაურებს წითელ არმიის მესვეურნი. ცბიერი პოლიტრუკი არმიაში მოსვლის უმალვე აითვალთვალებდა სამეთაურო ადამიანს. გამოცდილებიდან ვიცი, თუ როგორ ეზარებოდა წითელარმიელს უმცროსი მეთაურობა. ერთ დღეს პოლიტრუკმა ლ-მა დაიბარა წითელარმიელი დ. მას ვადა უთავდებოდა; წინადადება მისცა, რომ დათანხმებოდა ზემსახურად დარჩენაზე... პოლიტრუკის ოთახიდან ისმოდა ყვირილი. წითელარმიელი დ. გაჰყვიროდა: „მე უმცროს მეთაურად არ მინდა ყოფნა, რადგან ერთი წლით მეტი უნდა ვიმსახურო... თუგინდ დღესვე დამხვრიტეთ, მეთაურად არ წავალ“...

ასეთი განცხადებანი ერთეულობით როდი იყო. ამ აზრით იყო გამსჭვალული მთელი წითელი არმია.

ასე საშინელი იყო ცხოვრება წითელ ყაზარმაში. ასე იტანჯებოდნენ ახალგაზრდები იუდეურ- ბოლშევიკური რეჟიმის კლანჭებში.

ლეგ. ა. ნ.

მოკლე ცნობები

✱ საფრანგეთის გაზეთის „მონტორეს“ დაანგარიშებით გერმანიისა და საფრანგეთს შორის ზავის დადების დღიდან ინგლისი 94-ჯერ დაესხა თავს საფრანგეთის ტერიტორიასა და ქონებას.

✱ ამერიკის ვაჭრობის მინისტრის ცნობით 1942 წლის აგვისტოში ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხი მილიონი და ორასი-ათასი უმუშევარი იყო.

✱ იერუსალიმის ყავახანის ებრაელმა პატრონებმა უარი თქვეს მოემსახურონ არმიაში გაწვეულ ებრაელებს, რომლებიც არ შევიდნენ მოხალისეებად ებრაელთა არმიაში.

✱ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ სირიასა და ლიბანონში საშემოსავლო გადასახადი გაადიდა 50 პროცენტით, ხოლო სარეწავი გადასახადი — 30 პროცენტით.

✱ სამხრეთ აფრიკის მინისტრ-პრეზიდენტის სმუტსის განცხადებით მიმდინარე წელს შეუძლებელია არჩევნების ჩატარება, ვინაიდან მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს სამოქალაქო ომი.

✱ სამხედრო სამინისტროს ცნობით მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში ამერიკ. შეერთ. შტატებში ჩატარდა 728 გაფიცვა. ამ გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო 300 ათასმა მუშამ. მარტო სამხედრო მასალების დამამზადებელმა მრეწველობამ აღნიშნულ გაფიცვების გამო დაჰკარგა 1 მილიონი და ასი-ათასი სამუშაო დღე.

✱ ჩრდილოეთ აფრიკის კავშირის თავმჯდომარემ გენერალ სმუტსმა წარმოსთქვა სიტყვა სამხედრო მრეწველობის მუშებისადმი. იგი საყვედურობს მოსახლეობის ნაკლებ მონაწილეობაზე ომის საკითხებში. მოსახლეობა სმუტსის აზრით გაცილებით უფრო მეტად უნდა ემზადებოდეს ომისათვის და გაიღებდეს მსხვერპლს ამ საქმისათვის.

მამაცი გერმანული ლაშქარი იპყრობს კავკასიის თოვლიან მთებს.

გამოფენა „საზღვაო ომი“

გამოფენას „საზღვაო ომი“, რომელიც მოთავსებულია კაიზერ ფრიდრიხის მუზეუმის შენობაში, ყოველდღიურად ათასეულობით მნახველი ჰყავს. გამოფენა საინტერესო მასალებს იძლევა საზღვაო ტექნიკის განვითარების დარგში. მნახველი აქ იპოვის პირველყოფილ გემებს, ნაჩხავს ორთვალიან გემს, რომლითაც მოგზაურობდნენ ძველი გერმანელი მეზღვაურნი.

საინტერესოა წყალქვეშა ნავების განვითარების ისტორია. პირველი წყალქვეშა ნავი გამოგონილ იქმნა 1850 წელს. წყალქვეშა ნავებს მაშინ არ გააჩნდათ ძრავი, ისინი მოძრაობდნენ კუნთების ძალით. აი ეს ერთი პირველ ყოფილი წყალქვეშა ნავის აღნაგობა: გემზე მოწყობილია ვეებერთელა მჭრევარა, რომელიც ბრუნავს ორი ადამიანის ძალით, მჭრევარასაგან ძალა გადაეცემა გემის ხრახნილს, რომელსაც შემდეგ მოძრაობაში მოჰყავს გემი.

საზღვაო ფლოტის შექმნისათვის გერმანელი ხალხი შორეული წარსულიდან მუშაობდა. 1848—53 წლები ექუთვნის ეპოქას, როცა ისახებოდნენ გერმანული საზღვაო ძალები. ამ საქმეს მეთაურობდა ცნობილი ადმირალი როდოლფ ბრომმი. საზღვაო საქმემ განსაკუთრებით დიდი გაქანება ჰპოვა ბისმარკის დროს. გერმანული საზღვაო ფლოტის შემქმნელად ითვლება ადმირალი ფონ ტირპიცი. გამოფენა გვიჩვენებს საზღვაო ტექნიკის მიღწევებს პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში.

აქვე ახლოს არის ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის პირველი საბრძოლო გემის კრეისერ „ემდენის“ მოდელი, ჯავშნოსნების „ბისმარკის“, „გნაიზენაუს“ და „შანჰორსტის“ მოდელები. თქვენს თვალ წინაა აურიცხველი მოდელები თანადროული წყალქვეშა ნავების. აქ მნახველს შეუძლია დაათვალიეროს გემის მთელი მოწყობილობა, ჭრილებში მოცემულია სამანქანო განყოფილება, რთული მექანიზმებით.

გამოფენა „საზღვაო ომი“ მდიდარ მასალას იძლევა.

ლევ. ლ. ჰ.

ისარი

კაპეიკიც არა ღირს...

სტალინი 1934 წ. კრემლში მოხსენებით გამოვიდა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე. მეორე დღეს გაზეთებში მოთავსებული იყო მისი ე. წ. „ისტორიული 6 მითითება“. მალე გაჩნდა ბროშურებიც. თითოეული ბროშურის ფასი 3 კაპეიკი იყო. ხალხმა სარკასტულად დაარქვა: თითოეული მითითების ფასი კაპეიკიც არ ყოფილა.

შვილი: ბაბა, რა არის ეს შენობა?
მამა: ეს, შვილო, მუზეუმია, იმის საჩვენებლად, თუ როგორ იქცეოდნენ და ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები.

„დიდი კონცერტი“

ფილარმონიის თეატრს მაყურებელი არ ჰყავდა. თავმომაბეზრებელი რეპერტუარი ხალხს ვერ იზიდავდა. ერთ დღეს რეჟისორი ამფილოქე ინქიტაძე ჩაფიქრებული იჯდა ყავახანაში.

— ამფილოქ ხახვიჩს ვახლავარ — მიესალმა ამფილოქეს ებრაელი მორდეხაი.

— მორდეხაის სიცოცხლე — ყრუდ წარმოსთქვა ინქიტაძემ. მერე თამბაქოს ბოლი გადაყლაპა. ხახვიჩმა გადაშალა გულის ვარამი.

საქმე გაიჩარხა. გადასწყვიტეს გაკრან აფიშა: „დიდი კონცერტი... 3 განყოფილებად. მონაწილეობს სსრ-კავშირის სახალხო, აგრეთვე დამსახურებული, სამჯერ ორდენოსანი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უზომოდ ნ იჭიერი მომღერალი ილარიონ ყლანწაძე... მეორე განყოფილება ახალი პროგრამით... მორდეხაიმ ახალიც მოიგონა, აფიშის ბოლოს წააწერინა მსუქანი შრიფტით: სპექტაკლით უკმაყოფილო მაყურებელს უკანვე შეუძლია მიიღოს ბილეთის საფასური.

მეორე დღეს სალაროსთან შეიქნა უბედურება. რიგი, ვის ქვა დაედო, ვის კალათა, ვის პორტფელი, რომ რიგი არ დაჰკარგოდა. იყო ოთურმა.

დაიწყო კონცერტი. პირველ განყოფილების განმავლობაში ყველას ეძინა. ზოგი ისე ხროტინებდა, აქტიორს სმენას აკარგვინებდა. ხალხი გაალვიძა კონფერანსიეს ჩხავილმა.. ახალი პროგრამა. ნამძინარევი ხალხი გამოერკვა... გაიშალა ფარდა... ჰოი, საკვირველებავ!.. შინსახკომის სიმფონიური ორკესტრი. იგრიალა „ინტერნაციონალმა“. დამფრთხალი ხალხი ზეზე წამოცვივდა, სკამები წაიქცნენ, თვალების ფშვნეტით სცეს პატივი „ჰიმნს პროლეტარულს“.

ბოლოს კონფერანსიე გამოვიდა. „ვინ არის უკმაყოფილო?“ — იკითხა მან. რა თქმა უნდა „ინტერნაციონალის“ შემდეგ ყველანი კმაყოფილი იქნებოდნენ...

„...ტიმოშენკომ საბჭოთა ხალხში სრულიად დაჰკარგა პატივისცემა როგორც მარშალმა. თუ გამარჯვება უკან დახევაშია, მაშინ ტიმოშენკო მართლაც უდიდესი სამხედრო გენიოსია. ფინეთთან ბრძოლაში, ხარკოვთან, კავკასიაში და ახლა სტალინგრადთან უკან დახევაში ის არის პასუხისმგებელი. ის ახლა სტალინგრადიდანაც გარბის. ტიმოშენკო მალე საფლავის ლოდს დაადებს გულზე მთელს წითელ არმიას.“

ინგლის-ამერიკის გაზეთებიდან.

გასართობი

სიტყვათა შეჯვარება

№ 1

	1	2	3	4	5	6	7	8	9	
1									■	1
2			■							2
3			■				■			3
4				■						4
5					■					5
6			■		■	■	■			6
7		■								7
8										8
9	■				■	■				9
10							■			10
11			■							11
	1	2	3	4	5	6	7	8	9	

ჰორიზონტალური

1. ადგილი რომლის მახლობლად მოჰკლეს დიდი ქართველი მწერალი.— 2. რაოდენობის გამომხატველი. — 3. ნაცვალ სახელი. — 4. ყინულის სახელი გერმანულად. — 5. ახალი სხვაგვარად, ვერდის ცნობილი ოპერა.—6. ნაცვალ სახელი. — 7. ქართველი გლეხის საყვარელი იარაღი. — 8. უმაღლესი სასწავლებელი. — 9. წამებული ქართველი წმინდანის სახელი. — 10. გლოვისათვის მიმართვა. — 11. შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი კურორტი მიცემით ბრუნვაში.

ვერტიკალური

1. ცნობილი ქართველი პოეტის გვარი, სურნელოვანი ყვავილი.— 2. ცნობილი რომაელი კეისარი, ქართველი კინო-მსახიობის სახელი. — 4. ქალის სახელი, სიტყვის ოხტატი. — 5. ნათესაობითი მცნება. — 6. ცნობილი კურორტი რაჭაში. — 7. გამცემი და მოღალატე ბიბლიის მიხედვით უკანასკნელი ასოს გამოკლებით. — 8. ბერძნული მითოლოგიური ნაწარმოები, ჰურჭლის წონა. — 9. ებრაელთა სახელწოდება, ებრაელთა წინასწარმეტყველის სახელი უკანასკნელი ასოს გამოკლებით.

ამოიცან...

1. საიდან წარმოსდგება სიტყვა „გელათი„? — 2. ვინ და როდის დააარსა პირველი სტამბა საქართველოში? — 3. რომელი ფრინველის კვერცხი იწონის ქათმის 23 კვერცხის წონას? — 4. რომელი ქართული პოემა იწყება და თავდება შორისდებულით? — 5. საით იქნება მიმართული მაგნეტური ისარი, თუ კომპასს ჩრდილო პოლუსზე მოვათავსებთ? — 6. ყველაზე უძველესი ბიბლიოთეკა დედამიწის ზურგზე. 7. უკანასკნელი მინერალი ხიმაგრის შკალაზე? — 8. ვის დაებადა პირველი აზრი ჰაერში აფრენისა? — 9. რას ნიშნავს „ეზოპის ენით“? — 10. სად უფრო მძიმეა სხეული, პოლუსზე თუ ეკვატორზე? და რატომ? — 11. რომელი ფრინველი ცოცხლობს სამ საუკუნეს? 12. „ევროპაში მე ვარ, ხოლო აზიაში...“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები და ვისზეა ნათქვამი?

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლევ. ნ. მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Georgische Zeitung, Berlin W 35. Am Karlsbad 28.
სტამბა: Deutscher Verlag, Berlin